ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა

და გაწვევის სამსახურის მიერ 2016 წლის განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ '' და აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,, სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების '' შესაბამისად.

მ/წ განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან,სასწავლო დაწესებულებებიდან,ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდა, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 17 წელს მიღწეული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე,საერთო ჯამით 110 ჭაბუკის.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში აყვანილია აღრიცხვაზე 152 რეზერვისტი, შექმნილია თითოეულ მათგანზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები და დადგენილი წესის მიხედვით განთავსებულის კარტოთეკაში. გაწვეულია საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 9 მოქალაქე, შექმნილია მათზე პირადი საქმეები ორ- ორ ეგზემპლარად სათანადო დოკუმენტაციის მიხედვით. მოხსნილია აღრიცხვაზე და გადაგზავნილია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 17 რეზერვისტი.მოხსნილია აღრიცხვიდან ზღვრული ასაკის გამო 135 რეზერვისტი და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია არქივში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 თებერვლის N 46 დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 თებერვლის N 49175 ბრძანებით მუნიციპელიტეტის ტერიტორიაზე 2016 წ 03 თებერვლიდან 30 ივნისამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა აწარმოა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სანხედრო სამსახურს 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განუსაზღვრა 13 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ რაიონულ გამწვევ კომისიაზე 150 წვევამდელის გამოცხადება, საიდანაც ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე გაწვევის გადაწყვეტილება მიღებულ იქნე 60 წვევამდელზე. 13 წვევამდელი მიღებულ იქნა დაცვის პოლიციის სამსახურში, 47 წვევამდელის დარეგისტრირებული იქნა ეროვნულ

გამოცდებზე, 24 წვევამდელმა მიიღო შეღავათი კანონის 30 ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად.

ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე წარდგენილი 60 წვევამდელიდან 14 წვევამდელზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტანილი იქნა სხვადასხვა ხანგრძლივობის გაწვევიდან გადავადების გადაწყვეტილება. 22 წვევამდელი გაწვეული და ჩარიცხული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში. მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში უზრუნველყო ნაცვლად გეგმა-დავალებით განსაზღვრული 13 წვევამდელისა , 22 წვევამდელის გაწვევა და მიწოდება ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის. რაც გეგმა-დავალების 180% შესრულება უზრუნველყო.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N 349 დადგენილების შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 5 აგვისტოს 2016 წ N 4913488 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე მიმდინარეობს მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განესაზღვრა7 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის განვლილ პერიოდში მოახდინა რაიონულ გამწვევ კომისიაზე 120 წვევამდელის გამოცხადება. საიდანაც ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე გაწვევის გადაწყვეტილება იქნა მიღებული 63 წვევამდელზე. 7 წვევამდელი მიღებული იქნა დაცვის პოლიციის სამსახურში, 28 ფიქსირდება როგორც სტუდენტი. 38 წვევამდელს მიეცა გაწვევიდან გადავადება კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე წარდგენილი 63 წვევამდელიდან 15 წვევამდელზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტანილი იქნა სხვადასხვა ხანგრძლივობის გაწ3ვევიდან გადავადების გადაწყვეტილება. 11 წვევამდელი გაწვეული და ჩარიცხული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის პერიოდში მიიღო სახელმწიფო გეგმა-დავალების კორექტირება, კერძოთ მ.წ. 8 ნოემბრის მიღებული მითითებით მოეხსნა თავდაცვის სამინისტროს დავალებაში 5 წვევამდელის ჩარიცხვის დავალება და საერთო გეგმა - დავალება დარჩა 7 წვევამდელის ოდენობით. ნაცვლად აღნიშნულისა სამსახურმა უზრუნველყო 11 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში, რაც გეგმა დავალების 135 % შესრულება აღნიშნავს.

მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური აგრძელებს მუშაობას მის წინაშე დასახული დავალებების წარმატებით შესასრულებლად.